



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-31.31203641

თარიღი:29/12/2020

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22

2020 წლის 29 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში (ვებგვერდი 26.12.2019, სარ. კოდი:190020020.35.112.016416) და დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-3, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13, მე-16, მე-19 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი I. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	16,796.4	19,523.7	10,629.3	8,894.4	23,798.9	11,052.7	12,746.2
გადასახადები	2,437.5	9,226.9	9,226.9	-	7,794.6	7,794.6	-
გრანტები	13,337.2	9,114.4	220.0	8,894.4	12,966.2	220.0	12,746.2
სხვა შემოსავლები	1,021.6	1,182.4	1,182.4	-	3,038.1	3,038.1	-

II. ხარჯები	10,769.8	10,498.7	9,884.8	613.9	11,886.6	10,511.4	1,375.2
შრომის ანაზღაურება	4,318.5	4,687.0	4,687.0	-	4,950.5	4,950.5	-
საქონელი და მომსახურება	3,413.9	4,503.3	3,994.2	509.1	4,551.2	4,256.6	294.7
პროცენტი	53.7	29.1	29.1	-	37.5	37.5	-
სუბსიდიები	405.0	398.5	398.5	-	456.5	456.5	-
სოციალური უზრუნველყოფა	555.8	586.0	586.0	-	599.5	599.5	-
სხვა ხარჯები	2,022.9	294.8	190.0	104.8	1,287.4	206.8	1,080.5
III. საოპერაციო საღდო	6,026.6	9,025.0	744.5	8,280.5	11,912.3	541.3	11,371.0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,615.2	9,268.1	607.0	8,661.1	13,481.0	1,417.8	12,063.3
ზრდა	7,803.6	9,307.7	646.6	8,661.1	13,490.7	1,427.5	12,063.3
კლება	188.4	39.6	39.6		9.7	9.7	
V. მთლიანი საღდო	- 1,588.6	- 243.1	137.5	- 380.6	- 1,568.7	- 876.5	- 692.2
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1,588.6	- 272.1	108.5	- 380.6	- 1,626.8	- 934.6	- 692.2
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-			-		
კლება	1,588.6	272.1	- 108.5	380.6	1,626.8	934.6	692.2
ვალუტა და დეპოზიტები	1,588.6	272.1	- 108.5	380.6	1,626.8	934.6	692.2
VII. ვალდებულებების ცვლილება	-	- 29.0	- 29.0	-	- 58.1	- 58.1	-
კლება	-	29.0	29.0	-	58.1	58.1	-
საშინაო	-	29.0	29.0	-	58.1	58.1	-
სესხები	-	29.0	29.0		58.1	58.1	
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-			-		
VIII. ბალანსი	- 0.0	0.0	0.0	0.0	0.0	- 0.0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	16,984.8	19,563.3	23,808.6	11,062.4	12,746.2
შემოსავლები	16,796.4	19,523.7	23,798.9	11,052.7	12,746.2
არაფინანსური აქტივების კლება	188.4	39.6	9.7	9.7	-
გადასახდელები	18,573.4	19,835.4	25,435.4	11,996.9	13,438.5
ხარჯები	10,769.8	10,498.7	11,886.6	10,511.4	1,375.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,803.6	9,307.7	13,490.7	1,427.5	12,063.3
ვალდებულებების კლება	-	29.0	58.1	58.1	-
ნაშთის ცვლილება	- 1,588.6	- 272.1	- 1,626.8	- 934.6	- 692.2

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 23,798.9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	16,796.4	19,523.7	23,798.9	11,052.7	12,746.2
გადასახადები	2,437.5	9,226.9	7,794.6	7,794.6	-
გრანტები	13,337.2	9,114.4	12,966.2	220.0	12,746.2
სხვა შემოსავლები	1,021.6	1,182.4	3,038.1	3,038.1	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 12,966.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
გრანტები	13,337.2	9,114.4	12,966.2
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	- 1.5		309.89
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13,338.7	9,114.4	12,656.4
გათანაბრებითი ტრანსფერი	6,238.6		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსაზღვრის შემთხვევაში	220.0	220.0	220.0
კაპიტალური ტრანსფერი	4,515.1	5,581.0	5,797.9
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	2,365.0	3,313.4	6,638.5
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	2,262.3	2,052.1	5,600.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები			
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები		748.0	748.0
სხვა სახის ტრანსფერები	102.7	513.3	290.5

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 11,886.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	10,769.8	10,498.7	11,886.6	10,511.4	1,375.2
შრომის ანაზღაურება	4,318.5	4,687.0	4,950.5	4,950.5	-
საქონელი და მომსახურება	3,413.9	4,503.3	4,551.2	4,256.6	294.7

პროცენტები	53.7	29.1	37.5	37.5	-
სუბსიდიები	405.0	398.5	456.5	456.5	-
სოციალური უზრუნველყოფა	555.8	586.0	599.5	599.5	-
სხვა ხარჯები	2,022.9	294.8	1,287.4	206.8	1,080.5

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **13,481.0** ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 13,490.7 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 9,7 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	26.6	59.4	145.1
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	26.6	59.4	78.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7,113.7	6,833.1	11,376.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,193.2	3,335.4	7,110.2
02 02	წყლის სისტემების განვითარება	416.2	840.9	945.8
02 03	გარე განათება	-	-	120.9
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	91.2	82.3	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	25.0	0.6	52.0
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	287.8	403.1	881.6
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1,100.3	1,430.9	1,518.3
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა		740.0	748.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	177.4	2.8	2.3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	19.0	2.8	2.3
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	158.4	-	-
04 00	განათლება	36.2	532.4	1,150.5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	6.0	62.2	153.3
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	30.1	470.2	997.2
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	372.1	1,709.9	814.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	353.4	1,689.5	788.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	18.7	20.4	25.9
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	77.7	170.0	1.6
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	77.7	170.0	1.6
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	7,803.6	9,307.7	13,490.7

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	188.4	39.6	9.7
ძირითადი აქტივები	156.2	1.0	-
არაწარმოებული აქტივები	32.2	38.6	9.7

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,476.4	2,820.3	3,141.8
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,476.4	2,791.2	3,104.3
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,476.4	2,789.4	3,049.4
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	1.8	55.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	-	29.1	37.5
7.2	თავდაცვა	122.3	127.8	135.3
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	122.3	127.8	135.3
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5,272.4	3,455.0	7,245.6
7.4.5	ტრანსპორტი	5,272.4	3,455.0	7,245.6
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,248.2	3,433.4	7,224.6
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	24.2	21.5	21.0
7.5	გარემოს დაცვა	780.8	1,026.5	1,257.1
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	780.8	1,026.5	1,257.1
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4,486.6	4,088.9	5,957.9
7.6.1	ბინათმშენებლობა	2,036.8	192.6	1,117.7
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	158.4	-	-
7.6.3	წყალმომარაგება	447.2	883.6	1,014.4
7.6.4	გარე განათება	318.1	319.8	464.9
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1,526.2	2,692.9	3,360.9
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	198.8	307.5	161.1
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	198.8	307.5	161.1
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,413.8	3,896.1	3,075.2
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,312.7	2,742.3	1,890.9
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,061.1	1,113.8	1,144.2
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40.0	40.0	40.0
7.9	განათლება	2,231.8	3,453.0	3,714.5
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	2,220.4	2,457.0	2,399.6
7.9.2	ზოგადი განათლება	11.4	996.0	1,314.8
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება	11.4	996.0	1,314.8
7.10	სოციალური დაცვა	590.3	631.4	688.9
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	106.3	90.0	92.0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.6	1.5	2.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	45.3	40.0	52.5
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	30.0	36.0	37.2

7 10 9	სსკა ალაგლასიფიცირებული საეკონომიკური სოციალური დაცვის სფეროში	408.2	463.9	505.1
	სულ	18,573.4	19,806.4	25,377.3

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 1,568.7 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 11,912.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	6,026.6	9,025.0	11,912.3
მთლიანი სალდო	- 1,588.6	- 243.1	- 1,568.7

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 1,626.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1,588.6	- 272.1	- 1,626.8
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	1,588.6	272.1	1,626.8
ვალუტა და დეპოზიტი	1,588.6	272.1	1,626.8

ფინანსური აქტივების კლება 1626,8 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2020 წლის განმავლობაში.

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 13,183.5 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13,183.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7,224.6
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	7,110.0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	100.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	14.6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,014.4
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	945.8

02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	68.6
02 03	გარე განათება	464.9
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	354.0
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	110.9
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1,117.7
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	28.0
02 04 02	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	1,089.7
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	188.0
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	49.0
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	30.0
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	5.0
02 06 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	104.0
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	21.0
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	886.6
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,518.3
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	748.0

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		7110
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და ხიდების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი 4 პროექტის განხორციელება: - ქ. ლანჩხუთში 10 ქუჩის სანიაღვრე არხების მოწყობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები 5300 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 3500 ბენეფიციარი; - ქ. ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების და ბილიკების გარე განათების მოწყობა. ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1870 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 7000 ბენეფიციარი; - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. - 4700 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 3000 ბენეფიციარი; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მანქანარეითის და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული ხიდების აღდგენა. გარდა აღნიშნული პროექტებისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დამატებითი სახსრებით, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
მიღწეული შედეგი	მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		100,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმოული შეკეთება); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად
მიღწეული შედეგი	ქ. ლანჩხუთში, ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმოული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2020 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ ლანჩხუთის და სოფლების მოსახლეები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		14.64
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 10 ცალი ზოგადი ხედვის კამერის ტექნიკური მომსახურება		
მიღწეული შედეგი	ფარი ვიდეო კონტროლების შეძენა, დამონტაჟება განაპირობებს ტრანსპორტის და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		1014.4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ლანჩხუთში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია: - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს წყლის მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედეგია 1 ქვეპროგრამისაგან - წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა.		

	წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლუატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს წყლის მიწოდების გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა წყალზე; წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		945.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის შესაძლებელია ასევე გამოიყოს თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან. 2020-21 წლისათვის დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	- ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, წყალსადენის რეაბილიტაცია - ბენეფიციარი 510 ოჯახი; - გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია. წყალსადენის რეაბილიტაცია - ბენეფიციარი 1030 ოჯახი; გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		68,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე სტუმრების უწყვეტ რეჟიმში წყლით მომარაგებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;		

	- ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შეძენა.
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის სტუმრების უზრუნველყოფა სასმელი წყლით; პერიოდულად წარმოქმნილი დაზიანებების დროული და ოპერატიული აღმოფხვრა.

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		464,9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1000-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 6500-ზე მეტ სანათ წერტილს, 20000 გრძელ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 200,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; - კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. 2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება, ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		354.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		

ლი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (207,0 ათასი ლარი).
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		110,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები. 2020 წლისათვის დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება: - ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ მაგისტრალზე გარე განათების ქსელის მოწყობა - ბენეფიციარი 1700; გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების დაახლოებით 90%.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		28,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია , სანიტარული კვანძის მიმდინარე რემონტი		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული შენობები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ შენობით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 02		1089.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებობს მრავალბინიანი შენობები რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაციას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ლანჩხუთში არსებული დაზიანებული მრავალბინიანი სახლების სახურავების კაპიტალური შეკეთება-რეაბილიტაცია. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ლანჩხუთში სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია. ქ. ლანჩხუთში რეაბილიტირებული სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. საერთო ჯამში რეაბილიტირებული სახლებით ისარგებლებს 550 ბენეფიციარი.		
მოსალოდნელი შედეგი	ქ. ლანჩხუთში რეაბილიტირებული სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. საერთო ჯამში რეაბილიტირებული სახლებით ისარგებლებს 550 ბენეფიციარი. მოსახლეობის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები და ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ მრავასართულიანი საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციის ვადა გაიზრდება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		49,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩხუთის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალის მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ახლად მოწყობილი სკვერით მოსახლეობისთვის გაჩნდება კომფორტული დასასვენებელი გარემო და მემორიალის მოწყობით პატივი მიეგება ტერიტორიული ბრძოლაში დაღუპულ გმირებს		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		30,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ლანჩხუთის საახალწლო ღონისძიებების უზრუნველყოფას, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნასა და მოსახლეობის განწყობის ამაღლებას. შესაბამისად საჭიროა ქალაქის მორთვა საახალწლო დეკორაციებით , გაფორმების სამუშაოები.მოირთვება ქალაქის ცენტრალური მოედანი, ჯორდანია ქუჩის ნაწილი და ცენტრის მიმდებარე სკვერები.		
	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:		
	ქალაქის ტერიტორიაზე საახალწლო ნათურების მონტაჟი;		
	ქალაქში მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები		
	სხვა საახალწლო გაფორმებები		
მოსალოდნელი			

შედეგი	სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 06 05	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში 104.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისდელის, მაჩხვარეთის, ქალაქის (ატევის), ორავის დელის სასაფლაო. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 10800 კვ/მეტრს. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული განაშენებულიანი სკვერების დაცვის ღონისძიებებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს: - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება, შეღებვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან; - სასაფლაოების გაცვლით და შეწამვლით საშუალებების შესრულებას. განყოფილება ასევე ახდეს განაშენებულიანი სკვერების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა (მეველეები და სასაფლაოს ზედამხედველები) ხელფასებიც.		
მოსალოდნელი შედეგი	წლის მანძილზე შეკეთდება და შეიღობება სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდება შესასვლელი ჭიშკრები; რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაიცელება სასაფლაოს ტერიტორიები. ასევე, 24 საათიან რეჟიმში განხორციელდება ქალაქის სკვერების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში 21
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი, რომელზეც ქ. ლანჩხუთიდან სოფლების დამაკავშირებელი კერძო ტრანსპორტი გადაადგილდება. სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება 4 საშტატო ერთეულს (ხელფასი, მიმდინარე ხარჯი), რომელთა მოვალეობაშიც შედის ზემოთმოყვანილი საკითხების ზედამხედველობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ქ. ლანჩხუთისა და სოფლების დამაკავშირებელი ტრანსპორტი მთელი წლის განმავლობაში გადაადგილდება შეუფერხებლად		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში 886.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული საშუალების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	(საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.		
	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) პროექტი: რეგიონული ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2 მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი გრანტით გრიგოლეთის განაშენიანების გეგმის შედგენა (250,0 ათ ლარის ოდენობით). ასევე განხორციელდება წინა წლის განკარგულებებიდან დარჩენილი ეკონომიებით სუფსა-ორმეთი-ომფარეთი-წყალწმინდის გზის სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		1518,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის აუცილებლობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია და ახალი ნაპირსამაგრების მოწყობა.		
	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების მოწყობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ ნიგოთის, შუხუთის, აცანის, ქ. ლანჩხუთის, მანხვარეთის, ჩიბათის, ლესის, ნიგვზიანის, სუფსის, ღრმაღელის, ნინოშვილის, ჯურუყვეთის და ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულებში. ადმინისტრაციულ ერთეულებში გაბიონების და ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოები.		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მანხვარეთის , შუხუთის, ჩიბათის, ნინოშვილის, ჩოჩხათის, ღრმაღელის, აცანის, ლესის, ჯურუყვეთის და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები		
	ნიგოთის, შუხუთის, აცანის, ქალაქის, მანხვარეთის, ჩიბათის, ლესის, ნიგვზიანის, სუფსის, ღრმაღელის, ნინოშვილის, ჯურუყვეთის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწყობილი ნაპირსამაგრები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. სამუშაოები დაიწყო 2019წელს და დასრულდება 2020წელს. 2020 წელს ნაპირსამაგრიით ისარგებლებს 420 მოსახლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	02 10		748,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც განხილული და შეჯერებული იქნება თვით მოსახლეობასთან
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,075.2 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3,075.2
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,890.9
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,086.8
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	478.0
05 01 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	180.0
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	159.2
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	269.6
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	20.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	784.2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,179.1
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,135.2
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	815.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	320.2
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	3.9
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	5.1

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		478
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტული ცენტრი აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (28 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (35 ბავშვი); რაგბი (45 ბავშვი); ცურვა (36 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (24 ბავშვი); კარატე (60 ბავშვი); ჭადრაკი (37 ბავშვი); კალათბურთი (40 ბავშვი) და გოგონათა ფეხბურთი (25 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 350 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 71 ადამიანი, მათ შორის, 30 ტექნიკური და 12 ადმინისტრაციული პერსონალი და 29 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		
